წელიწადი პირველი. — № 2. ხუთშაბათი, 28 ივნისი 1906 წ.

ცალკე ნომერი
ექვსი კაპეიკი.



ფასი გაზეთისა: წლის დასაწყისამდე 1 მ. 60 კ.
სამის თვით — 80 კ., ცალკე ნომერი 6 კ.
ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში (საპიორის ქუჩა, № 43) და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველკვირეული სახალხო გაზეთი

3144

შინაარსი

რედაქციისაგან. — მიწა. — ლექსი, ი. ევდოშვილისა. — გლეხი და მუშა. — გლეხის წერილები, ქართველ გლეხისა. — რა არის მამასახლისი, გლეხიშვილისა. — მთავრობის ახალი კანონი უმიწო გლეხებისათვის. — ჩვენებური ამბები. — რუსეთი. — შვიდი თავისუფლება.

„გლეხის“ რედაქცია ღია არის ყოველდღე კვირა-უქმე დღეების გარდა, დილის 10 საათიდან 12 საათამდის და ნაშუადღევის 4 საათიდან საღამოს 6 საათამდის.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ზოგი მეგაზეთე გაზეთ „გლეხის“ თითო ნომერს ორ შაურად ჰყიდის. ვაფრთხილებთ მკითხველებს და ერთხელ კიდევ ვაცხადებთ, რომ ჩვენი გაზეთი ყოველგან: ქალაქებში და სოფლებშიაც, მაღაზიებშიაც და ქუჩაშიც **ღირს 6 კაპეიკი.**

მიწა

—:—

„მიწა და თავისუფლება!“ გაიძახიან გლეხები: „ისე ცხოვრება აღარ შეგვიძლიანო“. მართალია სიტყვაა: თუ გლეხებმა მიწა და თავისუფლება არ მოიპოვეს, ისევ მშიერნი და შიშველნი იქნებიან, ისევ დამონებულნი და გაჭირვებულნი დარჩებიან.

მიწა და თავისუფლება! პირველი საქმე გლეხისათვის მიწაა. როგორც თევზს არ შეუძლია უწყლოთ ყოფნა და ადამიანს უჰაეროთ, ისე არ შეუძლია გლეხს ცხოვრება უმიწოთ. თუ გლეხს მიწა აქვს, ის მაძღარია, შემოსილია, სახლი აქვს და კარი, გემრიელად ცხოვრობს, წელში გამართულია, ცოლშვილს კარგად უვლის და პატრონობს, მოყვარეს მოკვრულად დაუხვდება და მტერს მტრულად. მაგრამ გლეხს თუ მიწა არ აქვს, ის მუდამ მშიერია და შიშველი, სახლი არ უვარგა, ოჯახში მწუხარება უტრიალებს, სულ შეწუხებული და დაღონებული დადის, არ იცის, რა არის ბედნიერება, მისთვის არ არ არსებობს მზიანი მხიარული დღე.

გლეხისათვის მიწა ყველაფერია. მიწა აძლევს მას საჭმელს და სასმელს, მიწის შემოსავალით ყიდულობს ტანსაცმელს, იკეთებს სახლ-კარს. მიწა აძლევს გლეხს საღსარს გაჭირვების და დალხინების დროს. ქორწილია, ნათვლა, თუ ტირილი, — მიწის ნაყოფი, მიწის შემოსავალია გლეხის ერთად ერთი ხელის გამწყობი, ერთგულ მეგობარი. გაუჭირდება გლეხს, მიწას მიმართავს; დაულხინდება — ისევ მიწასთან მივა, მისგან გამოელის შველას და დახმარებას. დედამიწაო, ამბობს გლეხი და მართლაც მიწა დედაა გლეხისათვის. მივა გლეხი მიწასთან, ჩაჰლვრის შიგ თავის ოფლს,

დახნავს, დასთესავს, გაალამაზებს, გასწმენდს, უპატრონებს და მიწაც ერთი ათად გადაუხდის ნაშრომს და ნაამაგარს: ამწვანდება, აყვავდება და უხვს სარჩოს უგზავნის თავის შვილს გლეხს.

მიწაა გლეხის ცხოვრების წყარო, მიწა ასაზრდოვებს გლეხს, და მერე ვის ხელშია ეს მიწა, ვინ დაპატრონებია, ვის დაუსაკუთრებია და მიუთვისებია?

ქვეყანაზე უთვალავი მიწაა და მცირე ნაჭერი ეკუთვნის გლეხებს, დანარჩენი კი მეფის და იმის ნათესავების, ხაზინის, ეკლესია-მონასტრების და მემამულეების ხელშია, იმათ ხელში, რომელნიც არ მუშაობენ, არც ხნავენ და არც სთესვენ. „მიწა ჩვენიაო“, ამბობენ მეფე და მისი ნათესავები, თავადები და აზნაურები: „ჩვენი საკუთრებაო“, თითქოს მათის ოფლით იყოს გაკეთებული მიწა, თითქოს მათის შრომით იყოს ამწვანებული და აყვავებული მინდვრები და მთები, თითქოს მათ გაეყვანოთ მდინარეები, მათ გაეშენებიოთ ტყეები. ჩვენი საკუთრებაოო, — ტყვილია და უსამართლობა. მიწა ქვეყნის გაჩენიდან არსებობს, მიწა არავის არ გაუკეთებია. მიწა გაჩენილია ისე, როგორც მზე, მთვარე, ჰაერი, მთელი ქვეყანა. ქვეყანა არავისი საკუთრება არაა: ჩვენ მოვსულვართ, ვცხოვრობთ, ვსარგებლობთ; მოვკვდებით, წავალთ, ქვეყანა — მიწა, მზე, ჰაერი, ისევ აქ რჩება. არავის შეუძლია სთქვას: ჩემია მზე, ჩემია ჰაერიო. ასე არავის არ შეუძლია სთქვას: მიწა ჩემი საკუთრებაოო. როგორც ყველას შეუძლია გათბეს მზის სხივებით, იცხოვროს ჰაერში, ისარგებლოს ჰაერით, ისე ყველას შეუძლია ისარგებლოს მიწით, სახლი დაიდგას მიწაზე, მოჭრას ტყე, დაამუშაოს მიწა, მოხნას და დასთესოს.

განა სამართალი იქნებოდა, ვინმემ რომ გამოაცხადოს: მზე ჩემი საკუთრებაა და თუ ფულს არ მომცემთ, ისე მზის სინათლეს არავის გაღირსებთო? ან კიდევ ვინმემ ჰაერს რომ დაეპატრონოს და ბაჟი დაადვას? სამართალი კი არა, ეს ქვეყნის დაქცევა, დაღუპვა იქნებოდა. აი, ასეთივე უსამართლობაა, რომ დღეს მიწა ხელში ჩაუგდიათ და დაუსაკუთრებიათ მეფე, ხაზინას, ბერ-მოლოზნებს და მემამულეებს. მათ ძალადობით, ყოჩაღობით და მოყვილებით წაურთმევიათ მუშა გლეხებისათვის ადგილები, დაუსაკუთრებიათ. ახლა გლეხებს ეუბნებიან: „გლეხებო, თქვენ ღმერთმა იმიტომ გაგაჩინათ, რომ დღე და ღამე იმუშაოთ, მეტის მუშაობისაგან წელში უნდა გაწყდეთ, მუდამ ... ერნი და შიშველნი იყოთ! ჩვენ კი ხელმეფე და მისი ნათესავები, მთავრობა და ... სი კაცები, მემამულეები იმიტომ ... გაჩენილნი, რომ თქვენ კისერზედ დაგ... დეთ, არ ვიმუშაოთ, მხოლოდ ვიქეიფ... და ვილხინოთ. გლეხებს მიწა არა გა... ან თუ გაქვთ, ძალიან ცოტა, ჩვენ ... ღვთისაგან ნაბოძები ბევრი გვაქვს ... მოდით, აიღეთ ჩვენი მიწა, იმუშავეთ, ... იყვანეთ პური და ნახევარი თქვენი ... და ნახევარი ჩვენი!“

ასე ეუბნებიან მუშა გლეხებს მუ... ხორები, რომელთაც ყაჩაღობით და ... რცველობით ხელში ჩაუგდიათ მიწა... რა უნდა უპასუხონ გლეხებმა მათ? გ... ხები ეტყვიან მეფეს და მის ნათესავ... ხაზინას, ეკლესია-მონასტრებს, თავად-ნაურობას: „გეყოფათ ამდენი უსამ... ლობა და მძარცველობა. ყველა ადამ... ერთია, ყველამ უნდა იმუშაოს და ყ... ამ უნდა იცხოვროს თავის საკუთ... შრომით. ბატონყმობა და მჩაგვრელ... უნდა მოისპოს და აწ ჩვენ არავის არ ... მონებით, ვიმუშავებთ მხოლოდ ჩვენ... ვისთვის და ჩვენს ნაოფლარს არავის ... დავანებებთ. მიწა თქვენი არაა, მიწა ... წის მუშებისაა“. აი გლეხების სამართ... ანი სიტყვა. სამართალი მოითხოვს, ... მიწა ბატონებისა, თავად-აზნაურობის ... სხვა ამისთანა მუქთამჭამლებისაგან გ... ვიდეს მუშა ხალხის ხელში. სამართ... მოითხოვს, რომ მიწით უნდა სარგებლ... დეს ის, ვინც მიწას დაამუშავებს, ვინ... წაზე მუშაობს, მიწის მთელი შემოსავ... მისი უნდა იყოს, ეს შემოსავალი ... მარჯვენის ნაოფია. მუშა კაცს რომ ...

ართვა შრომის ნაყოფი და უსაქმურებს გადასცე, ეს დიდი უსამართლობაა, ამის შეწყნარება ყოვლად შეუძლებელია, ეს უნდა მოისპოს.

მიწა მიწის მუშებსაო, ვამბობთ. კარგი და პატიოსანი. მიწა უნდა ჩამოერთვას მეფეს და მის ნათესავებს და მემამულეებს, იმათ, რომელნიც თვითონ არ მუშაობენ მიწაზე, არ ხნავენ და არ სთესვენ. მიწა იმას უნდა ჰქონდეს, ვინც თვითონ საკუთარის მარჯვენით მუშაობს მიწაზე. მაგრამ მიწები საკუთრებად კი არ გადაეცემა, კი არ დაურიგდება მიწის მუშა გლეხებს. დღეს რომ გლეხებს მიწები გადავსცეთ და უთხრათ: ეს სრული თქვენი საკუთრებაა, გინდათ გაყიდეთ, გინდათ დაგირავეთ, გინდათ დაამუშავეთ, — მაშინ მალე ისეთივე უსამართლობა გაჩნდება, როგორიც დღეს არის. სოფელში ყოველთვის ერთი უფრო ღონიერია, მეორე უფრო სუსტი; ერთი უფრო მოხერხებულია, მეორე — არა. ერთს ბევრი ჰყავს შვილი მეორეს — ცოტა. ხშირად რაშე უბედურება შეემთხვევა გლეხს — სეტყვა მოვა, ან ჭირი გაუჩნდება საქონელს, ან ვინმე მოუკვდება, — გაჭირვებული გლეხი მაშინვე მირბის მდიდართან, თხოვს დახმარებას და უგირავებს, ან მთლად ყიდის დავის მიწას. ამას მალე ის მოყვება, რომ ზოგს სრულიად დაეკარგება მიწა და ზოგი კი ბევრს შეიძენს და ვისაც მიწა ექნება, ის აუცილებლივ დაჩაგრავს უმიწო გლეხს, დაჩაგრავს ისე, როგორც მემამულეები ჩაგრავენ დღეს გლეხებს.

მაშასადამე რომ თავიდან ავიცილოთ ასეთი უსამართლობა, სამუდამოთ უნდა მოისპოს მიწის საკუთრება; მიწა არავისი საკუთრება არ უნდა იყოს, არ უნდა შეიძლებოდეს არც გაყიდვა, არც ყიდვა, არც მემკვიდრეობით გადაცემა, და არც დაგირავება მიწის. მიწა უნდა იყოს საზოგადო, საერთო, როგორც არის ჰაერი. მიწა უნდა იყოს საზოგადო კუთვნილება მთელი მუშა ხალხისა და ყველას უნდა შეეძლოს ისარგებლოს მიწით, იმუშაოს მიწაზე. ყოველი ადამიანი მიიღებს მიწას, ვინც კი იმუშავებს, და მიიღებს იმდენს, რამდენის დამუშავება შეუძლია საკუთარის ძალღონით. იმუშავებს, მიწა მის ხეში იქნება; მიატოვებს მიწას და მიწა გადავა იმ საზოგადოების ხელში, სადაც ის ცხოვრობს; საზოგადოება კი მოსძებნის, ვის გადასცეს მიწა ხელახლა სასარგებლოდ.

ამა'ს მოითხოვს საშრომალი: მიწა უნდა ჩამოერთვას ყველას, ვინც თვითონ არ მუშაობს მიწაზე, მიწა უნდა იყოს საზოგადო, მიწით უნდა სარგებლობდეს მხოლოდ ის, ვინც თვითონ საკუთარის შრომით დაამუშავებს მიწას.

1. ...

3144

ფიქრები

—:—

ურემო, რასა ჭრიალებ,
ნიკორავ, რასა ხვნეშიო?
ზამთარ და ზაფხულ ვათენებთ
ამ ოხერ მინდორ-ტუეშიო!

—

ესლაც გვიქრიალავს ნიავი,
მაგრამ სხვა ფიქრი მაწვებს:
ის რადაც „დუმა„ *) რომ არი,
ნეტა თუ გამოგვადგებს?!

—

ამბობენ, ვითომც სალხისკენ
ჩარხმაო შეიტრიალა.
არა, ძმავ, ეგ თქვენი „დუმა„
უფალმაც გაატიალა!

—

არ მჯერა, აბა რა მარგო,
ერთი მითხარი, ძმაო:
ისევ ის მაზის ქედზედა,
ისევ ის მუქთა ჭამია!

—

ხმა ვერსად ამოიღია,
აქ ვლაპარაკობ ტუეშია;
თუ სადმე ენა დავძარი,
გამწურენ მათრახებშია!

—

სახლში ვერ შევალ შიშია,
მინდორში დავალ კანკალით,

*) „დუმა“ — სახელმწიფო სათათბირო.

მიაქვთ უსირცხვოთ თავისთვის,
რაც მოვმკე ჩემის ნამგალით!

—

ვრა, ძმავ, რა ვქნა, ამევსო
მოთმინებისა ფიალა,
ეგ თქვენი „დუმა“ უფალმა
დასწყევლა, გაატიალა!

*
* *

ჯერ ისევ შარშან ერთს გოგოს
საუდარს ჩაუკარ თვალია,
ნეტავ იცოდეთ, რა ვრის?
ურმის თვალივით მრგვალია!

—

მეგონა, შემოდგომაზე
ჯვარს დავიწერდი დამაზზე,
ეშსით ნიკორას ვაკოცე,
ხელი გადუსვი გავაზე!

—

მაგრამ, რა მექნა, რით, როგორ?
გამძარცვეს ერთიანთა:
რაც მე შინ შემოვიტანე,
წაიღეს ძალის ძალათ!

—

ესლაც ვრა მაქვს იმედი,
რომ ვიგდო გოგო ხელშია,
ფოსტის ფულს მთხოვენ, ნიკორა
გამოვაქციე ტეეშია!

—

ოორე ვინ ჩივის გოგოსა,
ამასაც გამოამტლიან,
და თუ ჩამიგდეს ხელშია,
სუ გვერდებს ამოამტლიან!

—

ვრა, ძმავ, რა ვქნა, ამევსო
მოთმინებისა ფიალა.
ეგ თქვენი „დუმა“ უფალმა
დასწყევლა, გაატიალა!

ი. ევდოშვილი.

გლეხი და მუშა

—:—

ზოგიერთები ამბობენ, გლეხი სხვაა და მუშა სხვაა, მათ საერთო არა აქვთ რაო. ეს შემცდარი აზრია.

ყველაზე უწინარეს ქარხნის მუშათა დიდი უმრავლესობა საფლებიდანაა ჩამოსული. სოფელში ბრუნდება ქარხნის მუშა მოსასვენებლად, სოფელში მიდის, როდესაც რამე უბედურ შეემთხვევა. სოფელში ცხოვრობენ ქალაქის შის დედა-მამა, და-ძმები, ხანდახან მისი ცო და შვილიც. მუშა იგივე გლეხია, მხოლოდ ს ტანისამოსი აცვია, მუშა და გლეხი მკვიდ ძმები არიან.

მაგრამ განა მარტო ნათესავები არიან ის მარტო სისხლით არიან ერთნი? არა, მათ ერ აქვთ სულიც. მუშა და გლეხი ძმები არიან ტომაც, რომ ერთს ტაფაში იწვიან, ერთ რად იტანჯებიან და ერთი აქვთ მისწრაფ მუშაც და გლეხიც ქოხში და მიწურში ცხ ვრობს, ერთიცა და მეორეც ნახევრად მშიერ ხეირიანი მოსვენება არ აქვს არც გლეხს არც მუშას, მშიერნი არიან და უსწავლელ რჩებიან გლეხის და მუშის შვილები. გლეხის მუშას აუტანელი შრომით და ოფლით შექმნილი აურიცხველი სიმდიდრე, ამ ლია სასახლეები, გლეხის და მუშის წყალ ბითაა, რომ მდიდრები განცხრომით ცხოვ ბენ და ქეიფსა და ლხინში ატარებენ დრო

გლეხსაც და მუშასაც ნაღველით ა გული. მათ მოჰბეზრდა პირუტყვული ყოფა მოინდომეს უსამართლობის მოსპობა და ა მიანური ცხოვრების მოპოვება. ამიტომაც გ ხები და მუშები გაიძახიან ერთხმად: „მიწა თავისუფლება! თავისუფლება და სამართ ყველასათვის, მშრომელი ხალხისათვის!“

ცხადია დღესავით, რომ თავისუფლება ნაირად სიჭიროა მუშისა და გლეხისათვ გლეხს თავისუფლება არ ექნა, ისე ვერც მ საგან გაიხარებს. თუ ხალხს ნება არ ექ თვითონ მოუაროს თავის თავს, როგორც უნდა, მაშინ მიწასაც ადვილად წაართმ ვერც მუშები გააუმჯობესებენ თავის ცხოვ ბას, თუ თავისუფალნი არ იქნებიან. თავის ლება სიჭიროა ყველა მუშა ხალხისათვის. რამ მიწა, მიწა საჭიროა ყველასათვის? უნდა მუშას მიწა, რატომ უნდა შეიწუხოს შამ მიწისთვის თავი? აშკარაა ამის პასუხიც. გლეხი მოიპოვებს მიწას, ეს სასარგებლო იქ ქარხნისა და ფაბრიკის მუშისათვის. მართ რატომ ისე ძნელია მუშისათვის სამუშაო დ შემცირება ან ქირას მომატება? იმიტომ, ყოველი ადგილზე ათი მთხოვნელი, უსაქ დარჩენილი მუშაა, რომელნიც მზად არიან

რტო ერთი პურისა და თავშესაფარისათვის მთელი დღე და ღამე იმუშაონ. მერე ვინ არიან ეს უსაქმოდ დარჩენილები? მათი უმრავლესობა გლეხებია, რომელნიც სოფლიდან გამოქცეულიან, გამოქცევიან უმიწობას. მათ რომ მიწა ჰქონდეთ, სოფელში დარჩებოდენ, იქ იმუშავებდენ და ქალაქის მუშებს ლუკმას არ გამოსტაცებდენ პირიდან.

ქალაქის მუშებისათვის სასარგებლოა, როდესაც გლეხი კარგათ ცხოვრობს, ამით მათი მდგომარეობაც უკეთესდება. ქარხნის და ფაფრიკის საქონელს უმთავრესად გლეხები ყიდულობენ; როდესაც გლეხები ქონებრივად გაღონიერდებიან, მაშინ მეტს საქონელსაც გაასაღებენ და მუშებიც მეტს ქირას აიღებენ. მეორეს მხრით, თუ მუშა კარგად იცხოვრებს, მაშინ გლეხიც მეტს გაყიდის თავის ნაწარმოებს და უფრო მოგებული დარჩება.

ამგვარად ერთნაირი ინტერესები აქვთ გლეხებს და მუშებს. ერთნაირად არიან დაჩაგრულნი, ერთი საქმე აქვთ და ერთად უნდა იბრძოლონ განთავისუფლებისათვის.

გლეხის წერილები

ამხანაგებო გლეხებო!

მე თვითონ გლეხი ვარ, სოფელში დავიბადე, გლეხებში გავიზარდე და ძალიან კარგად ვიცი გლეხის ცხოვრება და ვაივაგლახი.

მამა ჩემი დილიდამ საღამომდის მუშაობდა, თფლში იწურებოდა, წელზე ფეხს იდგამდა და თავის ოლშვილისთვის ლუკმა პურს შოულობდა. დიდის ტანჯვითა და წვალებით სასწავლებელი გამათავებინა და მერე რუსეთში გამგზავნა. რუსეთში რამოდენიმე წელიწადი ვიცხოვრე, იქაურობა მივიარ-მოვიარე, რუსი გლეხის ცხოვრებაც გავიცანი და ისევ ჩემ საქართველოში დავბრუნდი.

რუსი და ქართველი გლეხი ერთმანეთისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებიან. ორივენი ერთ უღელში არიან შებმული, ორივენი ერთნაირად იტანჯებიან მთავრობისაგან, მემამულეებისაგან, პოლიციისაგან და ყაზახ-რუსებისგან.

მაგრამ მათ შორის განსხვავებაც არის. რუსები სკოლებში, სასამართლოში და ყველგან სამშობლო ენაზე ლაპარაკობენ, ქართველები კი მოვალენი არიან რუსული ენა ისწავლონ, თორემ სასამართლოში და სხვაგანაც ქართულად არავინ ალაპარაკებს. რუსის ბავშვი სკოლაში თავის სამშობლო ენაზე სწავლობს, ქართველი ბავშვი კი სამ-ოთხ წელიწადს რუსულ ენაზე თავს იმტვრევს და იტანჯება. რუსეთში შემოღებულია ერობა; ესე იგი, ხალხს ნება აქვს თვითონვე განაგოს თვისი შინაური საქმეები. მართალია, მთავრობა ამ ერობას ძალიან აჭერს ხელს და თავისუფლად განძრევის ნებას არ აძლევს, მაგრამ ხალხის არჩეული კაცები მაინც მუშაობენ და სოფელს ეხმარებიან. ერობას სოფელში გზები გაჰყავს, ხალხს წამლობაში და ექიმობაში ეხმარება, სკოლებსა ხსნის, გლეხებს კარგ გუთნებსა და იარაღს ურიგებს და მიწის შემუშავებას ასწავლის. ორმოცი წელიწადია, რაც რუსეთში ერობა შემოიღეს და ამ ხანში ერობამ ბევრ სარგებლობა მოუტანა რუსის გლეხკაცობას. რუსეთის მთავრობამ ჩვენთვის ასეთი კეთილმოკვეცილი ერობაც დაიშურა და ჩვენი გლეხობა ვიღაც ბოქაულებსა და გუბერნატორებს დაუყენა ყმებად. რათაო? რისთვის? ჩვენ რაღა დავაშავეთ? წლისა და წლის თავზე მთავრობა ხალხს ტყავს აძრობს, იმოდენა ფულს აგროვებს და დღემდის გლეხებისათვის არაფერიც არ გაუკეთებია. რათა? იმიტომ, რომ მთავრობას არ უნდა ჩვენი განათლება, არ უნდა, რომ თვალები ავახილოთ, ყურები გამოვიჩიჩქნოთ და ჩვენც ადამიანები გავხდეთ. გლეხკაცობამ რომ თვალები აახილოს და განათლება მიიღოს, ის მაშინვე დაინახავს, რომ იმისი ფული, ნაოფლარი და ნამუშავარი სხვის ჯიბეში მიდის. დაინახავს, ამას და იტყვის: რათა და რისთვისაო? იტყვის ამას და აღარ მოინდომებს უღელში შებმას, ვიღაც მუქთახორა წურბელებისთვის მუშაობას, სხვის გულისათვის დღე და ღამე **მუშაობას**. ეს კი წურბელა მთავრობისთვის და მუქთახორა მემამულეებისათვის სახეირო არ არის. ჩვენ, გლეხებმა, განათლება რომ მივიღოთ, თვალები რომ ავახილოთ და ყურები გამოვიჩიჩქნოთ, ერთმანეთს ხელი ხელს მივცემთ, პირს შევკრავთ და ვიტყვით:

კმარა მონობა! გვეყო ამოდენა ტანჯვა

და წვალება! გვეყო ამოდენა უსამართლობა და ცარცვა-გლეჯა!

ჩვენ რომ ერთი პირი გვქონოდა, დღემდისაც ვეტყოდით მუქთა ხორა წურბელებს:

დღეის იქით ჩვენ თქვენთვის ხელსაც აღარ გავანძრევთ! დღეის იქით ჩვენ თავისუფალი ხალხი ვართ და თავისუფლად გვინდა ჩვენივე ნამუშავარი და ნაოფლარი ჩვენვე მოვიხმაროთ! დღეის იქით არც ღალას მოგცემთ, არც ფოსტის ფულს, არც დრამას, არც გზირს შევინახავთ, არც მამასახლისსა და არც მღვდელს!

მაგრამ...

ვაი დედი ჩვენი ღმერთსა! არც ერთი პირი გვაქვს, არც ერთობა, არც ძმობა, არც გამბედაობა, არც ვაჟკაცობა და არც სიმამაცე. **ბარემ ჩვენი ცოლების ლეჩაქები დავიხუროთ და ისე გავიაროთ.** ესღა გვაკლია, თორემ სხვა რამეში რაში გვეტყობა ვაჟკაცობა? დავინახავთ ერთ ან ორ კაზაკსა და ქუდ მოგლეჯილები გავრბივართ. დავინახავთ ბოქაულსა და თაგვის სორო ათ თუმნად გვიღირს. ვინ არ გინდა, რომ თავში არ გვიფაჩუნებდეს! გზირი, მამასახლისი, ბოქაული, მაზრის უფროსი, ერი, ბერი, მღვდელი და სოფლის წურბელა ჩვენი უფროსია, ყველა ჩვენ გვიბრძანებს, გვიყვირის, გვლანძღავს, გვაგინებს და გვათრევს. ჩვენ კი თავ ჩაღუნული ვდგევართ და ყველაფერს ვითმენთ.

წრეულს იანვარში და თებერვალში ყაზახ-რუსებმა მთელი საქართველო აიკლეს, გააოხრეს, გადაბუგეს, გააერანეს და მიწასთან გასწორეს. სახლ-კარი დაგვიწვეს, რაც გვებადა, დაგვტაცეს და ცოლებსა და ქალებს ლეჩაქი ახადეს. მერე ჩვენ სად ვიყავით? ჩვენ რას ვაკეთებდით? მხოლოდ თაგვებივით სოროებში ვიმალებოდით, კაზაკების წინ ვიჩოქებდით და ბოდიშს ვიხდიდით.

სირცხვილი ასეთ ვაჟკაცებს! სირცხვილი იმ ქმრებსა და მამებს, რომელთაც ცოლები და ქალები შეუგინეს და ისინი კი ტყეებში იმალებოდნენ. რა პირით უნდა შეხედოს ასეთმა ქმარმა ან მამამ თავის ცოლსა და ქალს?

რამდენი დანიშნული ვაჟკაცი შერცხვა! რამდენი დასანიშნი ქალი დაიღუპა!

უწინ ჩვენ ქუეყანას ბევრჯერ დასცემია სპარსელი და ოსმალო. ბევრჯერ აუოხრებიათ და აუწიოკებიათ პატარა საქართველო, მაგრამ ასეთ შერცხვენას ქვეყანა ჯერ არ მოსწრებია. ჩვენი მამაპაპა იარაღით იცავდა თავის კერას, ცოლშვილს და თავის სახლის კარებთან კვდებოდა. ეხლა კი ჩვენ სახლკარსც თავი დავანებეთ, ცოლშვილსაც და მშიშარა კურდღლებივით ტყეში გავიქეცით დასამალავად!

მაგრამ მარტო ყოზახ-რუ!ებს არ ავუოხრებივართ. ყაზახ-რუსების გარდა კიდევ ბევრი ვინმე აოხრებს ჩვენს სახლ-კარს, კიდევ ბევრი ვინმე იკლებს ჩვენს ცოლშვილს, კიდევ ბევრი ვინმე გვცარცვავს და გვყვლეფავს.

ამ წურბელაზე, მუქთახორა მაწანწალებზე და არამკითხე ბატონებზე მერე მოვილაპარაკოთ.

ქართლელი გლეხი.

რა არის მამასახლისი?

ეველა, ვისაც კი მცირედი უფლება მაინც მიუღია მთავრობის წყალობით თუ ხალხის არჩევით, მშრომელს გლეხობას უეჭველად ბატონად გვაქცევია; მერე ისეთ ბატონად, რომ ცა ქუდათ არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნად. მთავრობის დანიშნული გლეხობის ასეთი ბატონები არიან: გუბერნატორები, მაზრის უფროსები, ბოქაულები და უფრო დიდი ბობოლებიც; ესენი ისე მადლა იჭერენ თავს, ისე უეურებენ თავიანთ ხელობას, რომ თითქოს ისინი კი არ იყვნენ ხალხისთვის, არამედ ხალხი იყოს იმათთვის საწყალი ფური. კაჭირებულს გლეხს ასეთი გაყვინიზებული ვაჟბატონი გულის დარდს არც კი მოუსმენს; არ იკადრებს ჭუჭეიან გლეხთან ბაასს, თავის დამცირებას, თუმცა იმათი მოვალეობაა, ეველას მოუსმინონ, ეველას გასაჭირი და საჩივარი გაიგონონ და შესაფერი წამალიც დასდონ. აბა იმათთანა დიდმაკცებმა, ნაზად გაზრდილებმა, გლეხებს თავი როგორ გაუუადრონ, ხომ საზოგადოებაში დასცინებენ, ქალები და კაცადრები შეარცხვენენ მაგნარის „ცუდი საქციელისთვის“!

ასე იქცევიან თითქმის ეოველთვის მთავრობის ეურ-მოჭრილ მონა ყმები — ბოქაული, მაზრის უფროსი, გუბერნატორი და სხვა „დიდებიც“.

მაგრამ, ამ ვაჟბატონების უფრო ცუდი საქმე ის არის, რომ გლეხობისაგან ამორჩეულს და და-

�კაცს — მამასახლისს ისე რეგნიან და აუგულმრთებენ, რომ სოფლის მამასახლისი გლეხი კაცი კი არ ბეგონებათ, არამედ ხეშრე ჩინოვნიკი გლეხის ტანისამოსში გახვეული; ეს მამასახლისი— ჩინოვნიკი მზათ არის ეოველი ნაბიჯის გადადგმაზე თავის მოძმე გლეხს, გინდა უკანასკნელი გაჭირვებაში იხჩვებოდეს, ცხრა ხარი ტყავი აძრონს, ტოტხლიკ გაატყაონ, ოდონდ თავის მწყალობელ მთავრობის გული მოიგონს, ან თავისი გაუმაძღარი ანგარების მოეკვრე გული დაიკმაყოფილონს.

ჰო და, გუბერნატორი რაღა გავამტყუნო, რადესაც გუშინდელი ჩემი ამსანაგი — ძმა გლეხი, მამასახლისად რომ ავირჩიე, ისე გამიდიდკაცდა, ისე იფხვირება თავ ცარიელი მამალი ინდოურივით, თითქონს ერთი ის იეონს ქვეყნად დიდებული, შერე სტამბოლის სულთანი!

ამ გადიდკაცებას კიდევ ოქვენი ჭირი წაუღია, სხვაფრივ რომ ადარ აწუსებდეს ისედაც შეწუხებულ-გაჭირვებულს გლეხ-კაცს.

სიხიკვარი რომ ექმნება გლეხს, ჯერ ხომ ძღიეს მიჭბედავს „ბატონ მამასახლისსთან“. ახლა თუ ისეთი სულ ჩასაკიდებელი, გასასამართლებელი საქმეა, სულ ცარიელი როგორ მივიდეს, საორცხვილია. სულ ერთია „უჭუჭეოთ“ საქმე იმის სასარგებლოთ არ გაკეთდება. ეს გულკეთილობა მამასახლისებისა გლეხებმა კარგად შეიგნეს, შეისწავლეს, და იძულებულნი არიან, თუ საქმის გაკეთება სურთ, თან ხელის ჭუჭეიც უნდა მიიტანონ მოტიქულად. თუ ვერა და იბზუკლოს ობობა ქსელში გაბმულ ბუზიეთ „დაუდეკარმა“ მოჩიკარმა.

საქმე არც ისე უბრალოა, როგორც ზოგიერთს ეგონება. მივიდა გლეხი, მიუტანა ქრთამად წითელი ქალალდი; არა, უფრო ხშირად ბატონ მამასახლისებს ისეთი კაცები ჰყავთ მეგობრად, რომლებიც შუამავლობენ ქრთამის ალებაში. მითომ გლეხს სიკეთეს უშვრებიან, საქმეს ურიგებენ მამასახლისთან და თან კი ქრთამს ტინცლავენ ბატონისთვის ეს დაცემულები. ერთმა ასეთმა შუამავალმა — ნამამასახლისარმა შემომჩიოდა ერთხელ (მგონი თითონაც ინანა მერე), რომ ესალინდელი მამამასახლისი არ გარგა, წინანდელი უფრო სინდისიერი იეოფო.

— რაგორა მეთქი, ვკითხე.

— ისე, იმას რომ მივუტანდი გატანებულს ფულს, უწილოთ არ გამიშვებდა ხოლმე; ეს კი ისეთი უსვინდისო წუწკია, თუმანი რომ მიუტანო, არ იტეკვის, აჭა, ეს ერთი მანეთი შენი გასამრჯელოვო. აი ასე აკეთებენ საქმეს სოფლის მოხელე და ბობოლები.

მამასახლისის ადგილ-ახსნილობას საზღვარი არა აქვს, რაც ხარჯის გაწერას შეეხება, ან იმის აკრეფას. აქ სულ მოლაპარაკეს აშკარავდება, ვინ არ ესიამოვნება და ვისა სწყალობს.

მართალია, ხალხი თითონ ირჩევს ხარჯის გამწერებს, მაგრამ გამწერები მამასახლისის შიშ ქვეშ იმყოფებიან და მამასახლისი მაინც ეველაფერის თავი და ბოლოა, სულ იმის ხელშია მთელი სოფელი. უნდა ატირებს, სურს და ალხინებს, ციანებს.

ეგრეთვე იქცევიან მამასახლისები ბეგრის გაკეთების დროს. მეტის მეტად უსამართლოდ იციან ბეგრის განაწილება: ზოგს ხმა ურმის საქონელი ჰყავს, ისიც უღელს ანამს, ზოგს ერთი უღელი ხარი ანადია და ისიც იმასთან ეწევა ბეგარას. ან კიდევ ვინც მოასწროს, „დაიხსნის“ თავს ბეგრიდან ან ფულით, ან არეით, ან სხვა რითიმე. ამოდენა უსამართლობას და ეოველივე ადამიანურ უფლების შელახვას ისიც თან სდევს, რომ ამორჩეულს, თავის დაეენებულს ასეთს მავნე კაცს გლეხკაცობა ვეღარ გადაეენების ხოლმე თავის სურვილითვე. ეს ვაყბატონები იქამდის თამამდებიან, რომ ხალხის საეველური, ხალხის უგმაეოფილება, ხალხის დანძეა-გინება იმათს გასქელებულ სვინდისის კანს ვერ ატანს; ვერა გრძნობენ, რომ ხალხს ისინი ეჯავრება, ამიტომაც ხელმეორედ და მესამედაც ამოარჩევინებენ ხოლმე თავს მამასახლისად. მეტევიან, რათ ირჩევენ თვითონ გლეხებიო? იმიტომ, რომ ზოგს ეშინიან, ზოგი მოსეიდულია, ზოგი თავს არიდებს და ამ დაქსაქსვით გაიძვერა ვაყბატონები სარგებლობენ. მე ბევრი მაგალითები ვიცი ამნაირის ოინებისა არამც თუ ძველი წესწეობიდებისა, არამედ ახალი დროებისაც. თურმე სოფელ ხაშმში „ახალ დროის“ მამასახლისს ხალხი ეუბნება: მოგვშორდი, შენი ადარც ავი გვინდა, ადარც კარგი; რაც მოხდა, ეგეც გვეეოფა მოსანელებლადაო, მაგრამ შენც არ მოშიკვდე. ის თურმე ეუბნება ხალხს: ეხლა რომ ახალი არჩევანი იქნება, თუ მე ამირჩევთ ისევ მამასახლისად, ხომ კარგი, თუარა და მთელი სოფელი განსაცდელში ჩავარდებაო. აი ამისთანა გულ-შემატკივარები

ერიან მამასახლისები. ისინი სალხისთვის კი არა ზრუნავენ, არამედ საკუთრის ჯიბისთვის და თავისთვის. საშმელებს რომ ვერ გადუვენებიათ თავიანთ მამასახლისი, რა არის მიზეზი? მიზეზი ის გახლავთ, ერთობის ძალა კარგად არა აქვთ შეგნებული; არ ესმით, რომ თუ ერთბირად მოისურვებენ, ვერც მამასახლისი შეაშინებთ და ვერც რქებიანი ეშმაკი. ჯერ-ჯერობით ჩვენს გლეხობას ერთობის სიმტკიცე აკლია, ეს უნდა შეიგნოს გლეხმა და ერთობას ხელი შეუწყოს.

მაშინ მამასახლისი ვერ დასჩაგრავს სოფელს. სოფელი თვითონ უბატრონებს თავის თავს. სოფლის ერიდობა გაარჩევს და მოაწყობს სოფლის საქმეებს, სოფლელები შეიკრებებიან და ერთი მეორესთან მოლაბარაკებით დაადგენენ, თუ რა არის საჭიროებელი და მავნებელი სოფლისთვის. როდესაც მთელი სოფელი თვითონ გაუძღვება თავის საქმეებს, მაშინ სოფელი დინიერი იქნება, მას ვერავინ დასჩაგრავს ვერც მთავრობის კაცი და ვერც სხვა ვინმე, გაბერი ანუ მემამულე. მამასახლისი უნდა ასრულებდეს ერიდობის დადგენილებას, ის უნდა აკეთებდეს მხოლოდ იმას რაც სოფელი მიანდობს. მამასახლისი უნდა იყოს სოფლის სურვილის ამსრულებელი, სოფლის მსახური.

დღეს მამასახლისი სალხის მტერია. მართალია, მამასახლისს სოფელი იარჩევს, მაგრამ მამასახლისი სოფლის მჩაგვრელია, იმიტომ, რომ ზურგი აქვს გამაგრებული მთავრობისაგან, მამასახლისიც მთავრობის კაცია, ჩინოვნიკი.

რა ქნას გლეხმა კაცმა, რა უყოს მამასახლისს, ამ უბრალო მოხელეს, როდესაც იმის მფარველია დიდი ბოქაული, მაზრის უფროსი და სხვანიც. სამართალი ვიდასთან ეძიოს? ამის მაგალითებიც ბევრია. რასაკვრელია, ვედრავფერს აწყობს იმ ბატარა დობემძვრალასთან, როდესაც დიდი ბასრ-კალანჭებიანი არწივი მას მფარველობს.

მაშასადამე ცხადია, რომ ჯერ უნდა მაღალი, დიდი მოხელეები მინისტრები, გუბერნატორები უნდა გადაუენებულ იქმნან. სახელმწიფოს მთელი მართვა გამგებლობა უნდა გადავიდეს სალხის მიერ არჩეულ კაცების ხელში. მუწუკი თუ ძირიანად არ ამოგვრდა, ზემოთა ბირის მოარჩენა შეუძლებელია. ის „ბობოლებიც“ ძირი და ფესვია სალხის მწუხარების. ეს კი მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა სალხი შეერთებული იქნება, ხელი ხელს მასცემს, მთელი სახელმწიფოს მშრომელი სალხი ერთმანეთს ხელს გაუწვდის ამხანაგურად, მსარს დაუჭერს ერთმანეთს ჭირში და ლხინში.

მთელი სახელმწიფოს შეერთებული მშრომელი სალხი დაამარცხებს მინისტრებსა და გუბერნატორებს! შეერთებული ცალკე სოფლის გლეხები კი თავიანთ გაბატონებულს მამასახლისს.

ამასაირად, საჭიროა შეერთებული ძალა მშრომელ სალხისა, რომ თავი დავადწიოთ უსამართლობას, შეწუხებას და გატეხვებას.

გლეხიშვილი.

მთავრობის ახალი კანონი უმიწო გლეხებისათვის

---:—

მუშა სალხმა დიდი ხანია გაიგო, ვინცა ბრძანდება დღევანდელი მთავრობა და არავითარ სიკეთეს არ გამოელის მისგან. მთავრობა სალხის დაუძინებელი მტერია, სულ იმას ცდილობს, როგორმე სალხი მოატყუილოს, დაჩაგროს, შეავიწროვოს. რასაკვირველია, მთავრობას არ აწუხებს სალხის გაჭირვება, ის ყურადღებას არ აქცევს სალხის მოთხოვნილებას.

მთელი რუსეთის გლეხობა ფეხზე ადგა, როგორც ერთი კაცი, და თხოულობს მიწას: ჩამოერთვას ყველა მიწები ხაზინას, მეფეს და მის ნათესავებს, ეკლესია მონასტრებს, თავად-აზნაურობას და უსასყიდლოთ გადაეცეს მიწის მუშებს. გლეხები გაიძახიან: ან მიწა, ან სიკვდილი! ამ დროს ჩვენი დასავსებული, გახარწინილი მთავრობა ახალს კანონებს ადგენს სალხის მოსატყვილებლად და დასაბრმავებლად.

ამ დღეებში მთავრობამ სახელმწიფო საათბიარის წარუდგინა დასამტკიცებლათ კანონი, რომელიც ამბობს:

„1. მიეცეს მცირე-მიწიან გლეხებს ხელ-საერელ ბირობებში ყველა სახელმწიფო მიწები, რომელიც გამოსადეგი იქნება დასამუშავებლად; 2. რადგანაც სახელმწიფოს არა აქვს იმდენი მიწა, რომ დაკმაყოფილოს ყველა უმიწობით გაჭირებული გლეხ-კაცები, ამიტომ სახელმწიფო ხარჯზე იქნას გამოსყიდული კერძო ბირთა საკუთარი მიწები მესაკუთრეთა ნებაყოფლობით; 3. სახელმწიფო ხარჯზე გამოყიდული მიწები მიეცემოს უმიწაწყლო გლეხებს მისაწვდენ ფასებში; 4. დაწესდეს, რომ არ შეიძლება სახელმწიფოს მიერ გლეხებისთვის გადაცემული მიწები მიეცემოს არა გლეხთ და არც კერძო ბირთ შეუძლიანთ შეეხონ ამ მიწებს; 5. მეტი დახმარება ამოუწყდეთ გადა-

სასლების მსურველ გლეხებს ასად ადგილებში წასვლისა და იქ ოჯახობის მოწყობისათვის 6. ისეთ გლეხებს, რომელთაც არა ჰსურთ მიწის მუშაობა, გაუადვილდეთ სანადელო მიწების გაყიდვა. გაუმჯობესდეს მიწის მუშა გლეხების-მიერ საკუთარი მიწით სარგებლობის საქმე ისე, რომ მსურველნი გადავიდნენ ერთ ხამოსახლოდან მეორეზე საცხოვრებლად და მოსპობილ იქნას მიწის ნაკერ-ნაკრობა ე. ი. თვითეულ მესაკუთრე გლეხს ერთად ჰქონდეს ეველა ნაკრები მაწისა; 7. ნება მიეცეთ ცალკე გლეხებს გამოეთონ ხოლმე საზოგადოებას, და გამოსყიდვით დაისაკუთრონ მიწები, იმათ რომელნიც საზოგადოებიდან გადიან.; 8 რათა უმეტესად გაკერგებულ გლეხ-კაცებს ჩქარა შეუმსუბუქდეთ მდგომარეობა, დაწესდეს საგანგებო კომისიები ადგილობრივ მცხოვრებთაგან, რომელთა რიცხვში იქნებიან გლეხებიც, არჩეულნი ერილობის მიერ. ამ კომისიებმა უნდა გამოიკვლიონ, რამდენადაც გაკერგებული ესა თუ ის გლეხი, ხელი შეუწყონ გლეხებს საგლეხო ბანკის მიერ ადგილების გამოსყიდვაში. რაც შეეხება იმ აზრს, ვითომც მიწა მარტო მიწის მუშებს უნდა გადაეცეს, რომ კერძო საკუთრება მოსპობილ იქმნას მიწაზე, რის გულისათვის ეველა მიწები ძალად უნდა ჩამოერთვას მესაკუთრეებსო, მთავრობას ასეთი აზრი შემცდარად მიაჩნია და ერთხელ კიდევ ამბობს, რომ ის არავითარ ძალას არ დაზოგავს ასეთ მესაკუთრეთა უფლების დასაცველად. მთავრობა აცხადებს, გლეხ-კაცობა ბატონით უნდა ებერობოდეს მემამულეებს. რუსეთის გლეხ-კაცობამ უნდა იცოდეს, რომ ის დაკმაყოფილებულ იქნება მხოლოდ მაშინ, თუ არეულობას არ მოახდენს და მშვიდობიანის გზით, მშვიდობიანისა და წესრის შრომით განაგრძობს ცხოვრებას, რომ ხელმწიფე იმპერატორი მუდამ ზრუნავდა და ზრუნავს მისთვის.“

ადამიანი ისე იფიქრებს, მთავრობას სასაცილოდ აუგდია გლეხობა. სახაზინო მიწები გადაეცემა გლეხებსო, ამბობს მთავრობა: გადაეცემა „შედგენილი პირობებითო“. არ აცხადებს, რანაირი უნდა იყოს ეს პირობები, მაგრამ ძველს ამბავს თუ გაიხსენებთ, მიგსუდებით, რომ მთავრობის „შედგენილი პირობები“ ყოველთვის მაგონებელია მუშა სალხისათვის. თუ სახაზინო მიწები არ გეყოფათ, ანუგეშებს მთავრობა გლეხებს, მაშინ გაკოტრებულ თავად-აზნაურებს გავუსაღებთ მიწებს და თქვენ მოგეიდითო. მთავრობამ კარგათ იცის, რომ სახაზინო მიწები არ ეყოფა გლეხობას და ამას რომ ამბობს, უფრო აზნაურების ინტერესისთვის ზრუნავს, ვიდრე გლეხების გაჭირვებაზე. მიწას მოგეიდითო, ეუბნება მთავრობა გლეხებს, მაგრამ რომელი ფულით უნდა იყიდონ გლეხებმა მიწა? საიდან უნდა იშოვნონ ფული და მერე რატომ უნდა გადაიხადონ მიწაში ფული? მიწა ხომ იმას უნდა ჰქონდეს, ვინც მუშაობს მიწაზე და რათ უნდათ მიწა თავად-აზნაურებს ან სხვებს, რომლებიც არ მუშაობენ? სხვაფრივაც დაგეხმარებით, ჰბირდება მატყუარა მთავრობა გლეხობას: მოგვალე ვერ გაგიყიდის მიწას, გადასახლების დროს ხელს შეგიწყობ, დაგეხმარები, რომ უკეთესად დასამუშაო მიწა და სხვა; ეველაფერს მოგიწყობ, არ დაგტოვებ უბატრონოთ, კომისიებს დაგინიშნავ, რომლებიც ისე მოგივლიან, ისე გაგაბედნიერებენ, რომ შენს ბედს ძალი არ დაჰეეოსო. ამას ჰბირდება გლეხებს დღევანდელი მთავრობა და ამასთანავე მოითხოვს გლეხებისაგან: ამბოხებას თავი განებეთ, ნუ „ბუნტობთ“, გიყვარდეთ ხელმწიფე იმპერატორი, ემორჩილებოდეთ ბოლიტიკას, ბატივსა სცემდეთ მემამულეებს და ხელი არ შეახოთ მათ საკუთრებასო. კურთხეულს მთავრობას ხალხის მოტყვილება უნდა: გაგაბედნიერებ, მხოლოდ ჩემი მონა იყავიო. მაგრამ ავიწყდება, რომ ასდა მუშა ხალხის მოტყვილება შეუძლებელია. გლეხობა არ ენდობა მთავრობას, არაფერს დაუჯერებს. გლეხობას მხოლოდ საკუთარი თავის იმედი აქვს და მარამდე არ დაწყნარდება, სანამ მიწა არ გადავა მის ხელში, სანამ მიწა არ იქნება მისი, ვინც მუშაობს.

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

გაფიცვა მთელ ქალაქში.

22 ივნისს მთელ ქალაქში გაფიცვა იყო. ამ დღეს ხალხმა თანაგრძობა გამოუცხადა იმ 27 სალდათს, რომელთა საქმის გარჩევაც სამხედრო სასამართლომ დაიწყო. გაიფიცნენ რკინის გზის სახელოსნოები და დეპო, შესწყდა რკინის გზაზე მატარებლის მიმოსვლა, არ გამოვიდნენ სამუშაოდ ტრამვაის მოსამსახურენი, პურის დუქნებისა და აფთიაქის გარდა არ გაიღეს არც მაღაზიები და დუქნები, არც სხვა სავაჭრო დაწესებულებანი, გაიფიცნენ მოსამსახურენი ფაბრიკა-ქარხნებისა, სახელოსნოებისა, სტამბებისა, ბანკებისა, ქალაქის დაწესებულე-

ბებისა, რკინის გზის სამართველოს „სბორის“ ნაწილში 300-მდე მოხელე გაიფიცა და კრება გამართა. სამხედრო საინტენდანტო სამართველოში გაიფიცნენ სამხედრო მწერლები 300 კაცამდე და სხვა. არ გამოსულან ამ დღეს არც ეტლები და არც დროგები. არ ეძინა, რა თქმა უნდა, პოლიციას. ბევრგან ჯარი და ყაზახები დააყენეს. ტყვიის მტყორცნელები დადგეს ალექსანდრეს ბაღის წინ და ერევნის მოედანზე. საკამენდანტოსთან დიდძალი ყაზახები დააყენეს. იქვე იდგა ორი დიდი ზარბაზანი. ხიდზე ყველგან ჯარი იდგა. ტყვიის მტყორცნელები და ზარბაზნები დადგეს აგრეთკე ქალაქის გარშემო, მაღლობ ადგილებზე. ქუჩებსა და მოედნებზე ყაზახები და დრაგუნები დადიოდნენ. ხალხს არსად არ აჩერებდნენ. ასეთ მზადების მიუხედავად, დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. ღამე ქალაქი ბნელაში იყო გახვეული, რადგან ფარნები არ აუნთიათ.

სალდათების ყრილობა

კვირას, 18 ივნისს ნავთლულში ტფილისის ჯარის წარმომადგენელ სალდათებმა კრება გამართეს თავიანთ მდგომარეობის შესახებ მოსალაპარაკებლად. კრებას გარს შემოარტყეს დრაგუნთა პოლკი და სალდათებს წინადადება მისცეს დამორჩილებულიყვნენ. ერთი სალდათი გაიქცა; დრაგუნმა თოფი ესროლა, მაგრამ ააცდინა, ამის შემდეგ 38 სალდათი გამოარჩიეს და წაიყვანეს დრაგუნის პოლკის სადგომში, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ გაანთავისუფლეს.

სალდათების უკმაყოფილება

19 ივნისს ტფილისადან ყარსისკენ უნდა გაეგზავნათ ერთის პოლკის სალდათები, რიცხვით 40 კაცამდე. სალდათები მეოთხე კლასის ვაგონში (სადაც საქონელია ხოლმე) მოათავსეს. სალდათებმა იწყინეს ეს, მეოთხე კლასიდან თავიანთი ნივთები გადმოყარეს და აფიცერს განუცხადეს, არ წამოვალთ, თუ სახალხო ვაგონებში არ ჩაგვსხამთო. ამის გამო ერთი სალდათი დააპატიმრეს, დანარჩენი მეორე მატარებლით გაჰგზავნეს.

დუშეთის მაზრის გაჭირვება

შარშან დუშეთის მაზრა ძალზე დაზარალდა მოუსავლობით და სხვა უბედურებით. ბევრ სოფელს ნახევარი წლის სამყოფი პურიც არ მოსვლია და, რა თქმა უნდა, სახელმწიფო გადასახადების გაღება ვერ მოუხერხებიათ.

კახეთი

კახეთის საუფლისწულო მამულებში გაფიცვა გძელდება (მუშები თხოულობენ სამუშაო დღის შემცირებას, ქირის მომატებას და სხვას). —ამას წინათ გამგემ წინადადება მისცა მუშებს, დაეწყოთ მუშაობა, თანაც დაჰპირდა ზოგიერთ მოთხოვნილების შესრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინც მუშაობას არ განაახლებს, ყველას უქმად ჩაუვლის წინანდელი საასახური, ე. ი. გამოსვლის დროს პენსია ან შემწეობა არ მიეცემაო. მუქარამ არ გასჭრა,—თუმცა ვადის დანიშვნის მესამე დღეს ს. წინანდალში ზოგიერთმა მუშაობა დაიწყო, მაგრამ ამათაც ისევ თავი დაანებეს. მეორე დღეს ს. წინანდალში გაიმართა ყრილობა. დესწრო დიდძალი ხალხი, უმთავრესად მუშები, იყვნენ სხვა სოფლიდგანაც. გადასწყვიტეს, ერმანეთის მხარი დაუჭირონ და გაფიცვა განაგრძონ, ვიდრე მოთხოვნილებას არ დაუკმაყოფილებენ. გამგემ წინადადება მისცა თვიურ მუშებს, სადგომები დასცალეთო. წინანდლის მცხოვრებთ უთქვამთ, არაუშავს რა, დაცალეთ, ჩვენ დაგითმობთ სახლებსაო. ამ ჟამად მთელი მამული დაკეტილია, მუშაობა შეწყვეტილია.

მაზრის ადმინისტრაცია ფეხზეა დამდგარი. თელავიდგან ჯარი გაიგზავნა წინანდალსა და მუკუზანში. ნაფარეულში ყაზახები დგანან. 14 ივნისს თელავში კიდევ მოვიდნენ ყაზახები და ესენიც იმ სოფლებში გაჰგზავნეს.

ფერმის გადაწვა

როგორც ს. ტირძნისიდან გვატყობინებენ (გორის მაზრა), იქ ვიღაცებს გედაუწვავთ აღგილობრივ მემამულის სულხანიშვილის ფერმა. ფერმა მდებარეობდა 2 ვერსის მანძილზე სოფლიდან. იწოდა ორ დღე ნახევარი. გადაიწვა თავლა, რომელიც მოწყობილი იყო ორას სულ საქონლისათვის. გადაიწვა იქვე სახლი სარძეო განყოფილებით, ბეღლები, საბძელი და სხვა და სხვა სამეურნეო ავეჯეულობა. ეს სულხანიშვილი ის ვაჟბატონია, რომლის მეოხებითაც

შარშან სოფელ ტირძნისში ყაზახებმა 7 გლეხი მოჰკლეს და 8 დაჭრეს. ეს ვაჟბატონი ეხლა გაპარულია სამზღვარ გარეთ.

შორაპნის მაზრა

ალიხანოვმა ქუთაისში მეფობის დროს ყვირილაში გაცარცულ ხაზინის შესავსებათ 201,000 მანეთი დაადო ხარკად შორაპნის მაზრის მცხოვრებთ, რომელთაც მხოლოდ ის დანაშაული მიუძღოდათ, რომ პოლიციისა და დარაჯების მაგივრობა ვერ გასწიეს და ვერ შეიპყრეს ხაზინის გამცარცველნი. ყველამ იცის, თუ რა შეუბრალებლობა და სისასტიკე გამოიჩინა გულქვა მბრძანებელმა ხარკის აკრეფის დროს: რამდენს ოჯახს გამოაცალა ხელიდგან მარჩენელი ხარი, ხბოიანი ძროხა, ცხენი და სხ. მაგრამ ამდენ ხანს ყველაფერს ხმის ამოუღებლად ითმენდა თავზარ დაცემული ხალხი; მხოლოდ ეხლა, როდესაც ალიხანოვის გადაყვანის შემდეგ ხალხი ცოტათი გონს მოვიდა, იგი დაეკითხა თავის თავს, რა კანონის ძალით, რა უფლებით გადაგვახდევინეს 201,000 მანეთი ყვირილის ხაზინის შესავსებადო? ჩვენ რა მოვალე ვიყავით ხაზინისათვის გვეყარაულნა და დარაჯების მაგივრობა გაგვეწია, როდესაც ამ დარაჯების შესანახად მთავრობა ტყავს გვაძრობსო? როგორც ეხლა გავიგეთ, შორაპნის მაზრის საზოგადოება განუზრახავს, მოსთხოვოს მთავრობას უკანონოდ წაღებულ ფულის უკანვე დაბრუნება.

ს. ხაშმი (გარეკასეთი). ადარ ვიცი, სადან დავიწყო. სოფელი ძალიან ბევრია, მაგრამ მოკლეთ სჯობია. ორი მაგალითი ვიცი ჯერ-ჯერობით უმაგალითო უტიფრობისა: ერთი მინისტრების უტიფრობა-უსვინდისობა; მთელი სათათბირო ერთხმათ უცხადებს უნდობლობას, ეუბნება წადითო, ისინი კი მაინც მაგრა სხედან თავის ადგილზედ და განაგრძობენ უკმეხ მოქმედებას. მეორე მაგალითი უტიფრობის ჩვენებური მამასახლისი-ოსები იმედაშვილია. მთელი სოფელი ერთხმივ ეუბნება, ადარ გვინდიხარ, რაც მოგვატეშეე, ეგეც გეყოფა, შესწამე, თუ არა ჩვენი ფული, მაგას ადარ გამოვეკიდებით, ოდონდ წადი აქედანაო. სიქმე იქამდის მიდის, რომ ამ კაცს ბირში უშვერის დექსებით ლანძღვენ, ათრევენ, ის მაინც ეურს არ იბერტყავს, დაძვრას არ აბირებს, თითქოს მას ადარც კეთილ-გონიერება გაჩნდეს სადმე და ადარც თავმოყვარეობა ასე გვეუბნება: მე უნდა დავამტკიცო, ვინ იყო მოდალატეო, ე. ი. სოციალდემოკრატები სულ-ეველანი ერთად, თუ მარტო ი. იმედაშვილიო.

მაგრამ, ბატონო, შეგვიბრალეთ, სიქმეს ნუ გვატყენთ; ჩვენ სოფლელები რა შუაში ვართ, აქლემები წაიკიდნენ, კოზაკი შუაში გაჭულიტესო. ჩვენ კი თავი დაგვანებე, მუშაობაში ხელს ნუ გვიშლი და მერე რაც გენებოს, ის დამტკიცე, თუნდა დამტკიცე, რომ კაცს ორი გული აქვს, გძელი კუდი, თავში დომხალი ტვინის მაგიერ, და სხვა, რაც გენებოს.

მხოლოდ ჩვენს სოფელს-ხაშმს-კი თავი დანებე.

მაგრამ იმედაშვილი სალსს ეუბნება, მეორედაც მე ამომირჩიეთ, თორემ სოფელს ცუდი დღე დაუდგებაო. ხალხი ჩოჩქოლობს, ადარ იცის, სიქმეს როგორ მოავლოს ხელი.

თუ ცოტაოდენი კიდევ დარჩენია კაცს ადამიანობა, ის თავის თავზედ ნაკლებს უნდა ფიქრობდეს, ვიდრე მთელს სოფელზედ, სოფელი თავის ინტერესების სავარაუდად არ უნდა გამოიყენოს, თავს ნება არ უნდა მისცეს, სოფელმა უისამართებაც კი ნახოს იმის გამო, არამც თუ ავალმყოფი ასტეხოს და ერთმანეთს მიასეთქოს მთელი ხალხი. მე მწამს, რომ ჯერ იმდენი გონიერება კიდევ შერჩენია ბ. იმედაშვილს, რომ თავის ნებით გაანებებს თავს ნაკისრს თანამდებობას, ვინაიდან ხალხი მას ადარ ენდობა.

ს. ხაშმიც დიდი მადლობელი იქნება, თუ ისე გათავდება სიქმე, რომ უსიამოვნება არ მოხდება, თუ არა და სოფელი მაინც დონიერია ერთს კაცზედ, იცოდეს ეველამ.

ხაშმელი.

რუსეთი

გლეხთა მოძრაობა.

ეოველ მხრიდან ერთი და იგივე ამბავი მოდის, რომ გლეხები მაგრად არიან და ემზადებიან. რიაზანის გუბერნიაში გაგონებაც არ უნდათ იმისი, რომ ცხოვრების წესის შესაცვლელად ვითომ საჭირო იყოს დრო და რომ ეს სიქმე ჯერ კიდევ უნდა გადაიდოს.

— რატომ? როგორ? გკითხავთ გლეხი — მიეცი მიწა მას, ვინც სისხლით და ოფლით რწყავს, მორჩა და გათავდა სიქმე.

ამასვე იწერებიან კაზანის გუბერნიიდან. ჯერ კიდევ ახალ სანში ეს მხარე ძალზე მიერუებული იყო და იქ სრული მშვიდობიანობა სუფევდა. სიჩუმეს მხოლოდ უბიერ და დაბეჩავებულ სალხის ოხვრა-კვნესა არღვევდა. ესლა კი იმავე კაზანის გუბერნიაში გლეხებმა ია რა დაუბარეს თავიანთ წარმომადგენელთ, როცა სახელმწიფო სათათბიროში ᲩᲒᲐᲕᲜᲘᲓᲜᲔᲜ:

გაბედულლათ და გადაწყვეტილი იმოქმედეთ და არც ერთს მოთხოვნილებაზე ხელი არ აიღოთ, უეჭველად ძირიან ფესვიანათ შესცვლეთ ასწინდელი წესწყობილება — მოიბოვეთ თავისუფლებანი. მოუბოვეთ თავისუფლება ყველა იმათ, ვინც განმანთავისუფლებელ ბრძოლაში დაისაჯა; მოიბოვეთ ახალი საარჩევნო უფლება, ახალი სათათბიროს დაწესება. „ჩვენ ქვეყნის ბატონ-პატრონები ვართ, ყველა დანარჩენი მმართველნი კი ჩვენი მოურავები და ნოქრები არიან, ხოლო პატრონი თავის მოურავს კი არა სთხოვს, არამედ უბრძანებს. ამიტომ სალხის წარმომადგენლებმა უნდა უბრძანონ და არა გამოითხოვონ. გვეეო მოთმინება. დრო დადგა, ბოლო მოუღოთ ძველ წესებს და ახალი ცხოვრება გავამეფოთ“. „დეე იცოდნენ სათათბიროს წევრებმა, რომ თუ ხელცარიელნი დაბრუნდნენ—შერცხვენილნი იქნებიან. დეე ისევ მოკვდნენ თავისუფლებისათვის, სახელოვანი სიკვდილი სჯობს. მთავრობას ურჩევნია, სათათბიროს დათხოვნა არც კი გაიფიქროს, თორემ ყველა მაზრების მოედება ალი...“

ასევე მტკიცეთ არიან გლეხები ნიჟეგოროდის გუბერნიაში. ამის შესახებ ნიჟეგოროდის საგუბერნიო ერობის სმოსანი მოგვითხრობს:

„გლეხობა მოითხოვს მიწას, რომ მთელი მიწა სახელმწიფო თუ კერძო მათ გადაეცეს. ამბობენ, რომ მიწა დვთისაა და იმას უნდა ეკუთვნოდეს, ვინც თავის ძალღონით მუშაობს. მიწის არც გაუდგა, არც გაქირავება არ შეიძლება. სახელმწიფო სათათბიროს უბირველესად ეოველისა მოელი მიწა გლეხობას უნდა გადასცეს. თუ ასე არ მოიქცევა, სათათბიროა არ ასრულებს, რაც სალხმა დაავალა. სათათბიროს დათხოვნას მთავრობა ვერასოდეს ვერ გაბედავს. მთელი გლეხობა როგორც ერთი კაცი ადგება იმათ დასაცველად, ვინც მან სათათბიროში გაგზავნა“. თუ მთავრობამ არ ასრულა სათათბიროს ყველა მოთხოვნილებანი, მაშინ მოხდება საშინელი ამბები.

მაგრა დგანან მიერუებულ ᲮᲡᲚᲝᲕᲘᲡ გუბერნიის გლეხებიც. ᲮᲝᲠᲩᲔᲢᲕᲘᲡ მაზრიდან იწერებიან:

სახელმწიფო სათათბიროს ჩვენის მაზრის გლეხი სრულის ნდობით და იმედით უყურებენ. ფიქრადაც ვერ წარმოუდგენიათ, რომ შესაძლებელია სათათბიროს გარეკა. „თუ გარეკა სურთ, მაშ რიდასთვის იწვევდენ. თუ გარეკენ, მაშინ მოელი რუსეთი აჯანყდებაო.“

ასეთივე ცნობები მოდის ᲢᲐᲕᲠᲘᲓᲘᲡ გუბერნიიდან.

სიმფეროპოლის მაზრის ზოგიერთ სოფლის საზოგადოებებს აზრად ᲩᲥᲝᲜᲓᲐᲗ მემამულეთაგან შეეძინათ მიწა საგლეხო ბანკის შემწეობით. ესლა რაკი გაიგეს სახელმწიფო სათათბიროს აზრი და წაიკითხეს მშრომელ ჯგუფის დადგენილება, იშვიათის ერთობით უარი სთქვეს მიწის ყიდვაზე და დაადგინეს, მოუცადონ სათათბიროს გადაწყვეტილებას. სოფლის საზოგადოებათა ერილობებზედ განაჩენებს აგენენ, თავიანთ წარმომადგენელთ გამარჯვებას უსურვებენ, მოაგონებენ ფიცს, ᲩᲐᲬᲘᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ შველას და სთხოვენ, ბოლომდე დაიცვან სალხის საᲩᲘᲠᲝᲔᲑᲐ. სალხმა ძალიან გამოიღვიძა. თათრებიც კი გაფაციცებით თვალ-ყურს აგებენ სათათბიროს მოქმედებას.

საინტერესო ცნობებს იტყობინებიან ᲮᲝᲚᲢᲐᲕᲘᲡ გუბერნიიდან გლეხთა ცხოვრების შესახებ.

ესლა ვერავინ შეარეევს გლეხთა ერთობას. ძალიან საყურადღებოა შემდეგი გარემოება: ერთ სოფელში გლეხებმა მემამულეთა მიწების ბეგმაც კი შეადგინეს, რომელნიც მათ უნდა გადაეცეს. მეორე სოფელში ცხარე საჯა-ბაასი აქვთო იმის შესახებ, თუ რაგორ შეიმუშავონ მიწები, რომელიც მალე გადავა მათ ხელში.

სათათბიროს მშრომელთა ჯგუფმა მიიღო შემდეგი განცხადებანი გლეხებისაგან:

1. — **სოფ. ნიკოლაევკის** (სიმბირსკის გუბ.) გლეხებისაგან; „ჩვენო ᲮᲡᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ წარმომადგენელო, მოგმართავთ თქვენ და სსელმწიფო სათათბიროს ეველა წევრებს. მტკიცედ და შეურეველად დაიცვეთ სალხის ეველა მოთხოვნილებანი. დაბეჩავებული სალხი თქვენგან ნუგეშს მოელის. ნუ შესწყვეტავთ თქვენს მუშაობას. კარზედ მომდგარი საᲩᲘᲠᲝᲔᲑᲐ დაუყოვნებლივს გადაწყვეტას თხოულობს. სალხის მოთმინების ფიალა აივსო, მოთმინების ძაფი სწყდება. საუკუნოებით მოგრეული მძულვარება მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბობოქრობს

სალხის გულში და მზად არის გადმოხეოქოს. იქამდე ნუ მიიეკვანთ, დაეშურეთ მოგვიბოვოთ მიწა და თავისუფლება, დარწმუნებული იყავით, რომ თქვენ მხარს გიჭერთ სალხი, რომელიც მზადაა, დაიცვას თავისი არჩეული კაცები და შელახული სამართალი. თქვენთან არს დმერთი და მისი სამართალი.

2. — ს. **პოხომოვსკიდან** (სარკ. გუბ.) ჩვენ, მოქალაქენი ორივე სქესისა სოფ. ბახომოვსკისა სარეოყის გუბერნისა, შევიკრიბენით მიტინგზე რიცხვით 420 კაცი და ვსცანით, რომ მთავრობას არა სურს სალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რომ მან დაჭკარგა სალხის ნდობა, და სურს წინანდებურად სალხის გაუვლეფა და ძალმომრეობა, ამიტომ ერილობა მოუწოდებს სალხს აღსდგეს თავის ინტერესების დასაცველად და ძალით ჩამოაგდოს მონობის უღელი და მოიბოვოს მიწა და თავისუფლება. ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ ბრძოლით მოვიბოვებთ ჩვენს უფლებას და, ამიტომ მოვახსენებთ მშრომელ ჯგუფს, რომ მრავალ-მილიონიანი მშრომელი გლეხობა შეგნებულ მუშებთან ერთათ მხარს დაუჭერს გლეხთა წარმომადგენელთ სიტყვით და საქმით. იბრძოლეთ ბოლომდე, ჩვენ თქვენთანა ვართ. გაუმარჯოს მიწას და თავისუფლებას.

ამ დადგენილებას ვუერთდებით ჩვენც, სოფ. დევრეშევსკის მოქალაქენი, შეერთებულნი ერილობაზე, რიცხვით 290 კაცი.

მუშათა მოძრაობა.

უსაქმოდ დარჩენილ მუშათა პეტერბურგის საბჭომ გამოსცა მოწოდება რუსეთის ყველა უსაქმოდ დარჩენილთა მიმართ.. ეს მოწოდება შემდეგის სიტყვებით ბოლოვდება:

შეთანხმდით და შეკავშირდით ყველა ქალაქებში, უსაქმოდ დარჩენილნო ამხანაგებო, თავი მიანებეთ მორჩილებას და მოთმინებას. შეერთდით და დაარსეთ უსაქმოთ დარჩენილთა საბჭოები, მოითხოვეთ საზოგადო საქმეების მოწყობა ყველა უსაქმოდ დარჩენილთათვის.

— სტამბების მომუშავეთა კავშირს მოსკოვში პროტესტი გამოუცხადებია სტამბების პატრონთა წინააღმდეგ, რომელთაც მთავრობას მიმართეს და სთხოვეს დახმარება. კავშირმა ამასთანავე დადგინა, ეურადღება არ მიექცეოს სტამბის პატრონთა მუქარას მუშების დათხოვნის შესახებ, რადგან კავშირს ამის წინააღმდეგ საბრძოლველად ძალა შესწევს. იმ კრებაზე, სადაც ეს დადგინეს, 6000 მუშა ეოფილა.

— შეგნებული მუშები დიდ ბრძოლას ეწევიან შავ რაზმელთა წინააღმდეგ. ჯერ იარაღს არომევენ, მერე ნიშნებს და, თუ მაინც არა ეშველთ რა, მაშინ სასტიკ ზომებსაც იმარობენ მათ წინააღმდეგ. ერთი შავი რაზმელი მუშა კინაღამ ქარხნის ანთებულ ფეხში არ ჩააგდეს. მერე კი წაუსვეს რაღაც სადებავი და ისე გამოისტუმრეს. ერთსაც ესეთ საქმე დაუმართეს, მერე ტომარაში ჩასვეს და გარედ გამოათრიეს.

— პეტერბურგში ნევის ზასტავის რაიონის მუშათა შორის მოძრაობა ძლიერდება, პოლიციის ცნობებით, მუშები საეოველთაო გაფიცვას აპირებენ.

— ქ. მოგილევში მეტეკვე შეგირდებმა გაოცვეს გაფიცვა. მექარხნეები დამარცხდნენ; შემოიღეს 8 საათის სამუშაო დღე.

— ატკარსკის მაზრაში გლეხები უარს ამბობენ რკინის გზაზე მუშაობაზე. ისინი თხოულობენ სელფასის მომატებას.

— სუჯის შაქრის ქარხნის მუშებმა მოითხოვეს ქიარის მომატება და მუშაობას თავი გაანებეს. ქარხნის პატრონი დაჭიარდა დაკმაყოფილებას და მუშებმა ისევ დაიწყეს მუშაობა.

— ამას წინად ევპატორიაში მომხდარ არეულობის შესახებ გამოირკვა, რომ დუვანის წისქვილს დასტემიან ახლო-მახლო სოფლების გლეხები. ისინი თურმე ამბობდნენ, რომ პური, რომელიც ამ წისქვილში იფქვება, ჩვენია, და მისულან ურმებით. ჯარის მოსწრებამდის გლეხებს ბლომად წაედოთ ფქვილი. იქვე მეოფ პოლიციელებისათვის გლეხებს უთქვამთ: ჩვენ ჩვენი ფქვილი მიგვაქს და პატარა ხანს უკან ბევრ სხვა რამესაც წავიღებთო.

ᲨᲕᲘᲓᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ

—:—

იმ ქვეყნებში, სადაც სალხემწიფოს თვით ხალხი განაგებს, თავის არჩეულ სანდო კაცების შემწეობით, ყოველს მცხოვრებს აქვს უფლებები, რომელთა წართმევა ან შელახვა არავის შეუძლია. ამ უფლებებით ყველა სარგებლობს, რა ტომისა, ჩამომავლობისა, ან რჯულისაც უნდა იყოს, სარგებლობს მდიდარიც და ღარიბ-ღატაკიც. ამ უფლებათა თავისუფალ სარგებლობას უწოდებენ თავისუფლებას. ამისთანა თავისუფლება შვიდია. აქ ჩა-

მოვთვლით მათ და თან განვმარტავთ, თუ რაში მდგომარეობს თვითეული მათგანი:

1. პიროვნების ხელშეუხებლობა

ე. ი. არავის, არც მთავრობის კაცს, არც სხვას არ შეუძლია ტყუილ-უბრალოდ ვინმე შეურაცხყოს ან ავნოს რამე. არავის შეუძლიან დააპატიმროს ადამიანი, თუ ხელთ სასამართლოს დადგენილება არა აქვს. მოსამართლეს კი თვით ხალხი ირჩევს და მთავრობას ხელი არა აქვს სასამართლოს მოქმედებაში. მაგალითად ინგლისში ამისთანა წესია: ვთქვათ ვისმეზიდ ეჭვი მიიტანეს, რომ მან ბოროტმოქმედება რამე ჩაიდინა ან დანაშაულობა რამე მიუძღვის და დააპატიმრეს. დაპატიმრებული 24 საათის (ხოლო იმ ადგილებში, საცა მსაჯული არ არის და იგი დაშორებულია, 3 დღის) განმავლობაში უნდა წარუდგინონ მსაჯულს. მსაჯული გამოუცხადებს, თუ რა ბრალსა სდებენ და დაუყონებლივ გამოიძიებს საქმეს. თუ აღმოჩნდა, რომ დაპატიმრებული დამნაშავეა, მაშინ მსაჯული წერილობითი ბრძანებას გასცემს, რომ დამნაშავეს დაპატიმრება გაუგრძელონ, და სამართალში აძლევს. მსაჯულმა თავის ბრძანებაში უნდა აღნიშნოს დაპატიმრების მიზეზიც.

ხოლო თუ მსაჯულმა სცნო, რომ კაცი უსაფუძვლოდაა დაპატიმრებული, და გაანთავისუფლა, ნაპატიმარს უფლება აქვს სისხლის სამართალში მისცეს ის, ვინც მის დაპატიმრების ბრძანება გასცა, გინდ ეს დიდი მოხელეც იყოს, და აგრეთვე ისინიც, რომელთაც ეს ბრძანება აასრულეს. ნაპატიმარს შეუძლიან, აგრეთვე, მოსთხოვოს მათ იმ ზარალის ანაზღურება, რომელიც მას უსაფუძვლო დაპატიმრებამ მიაყენა.

ხალხის მოხელე ან ის პოლიციელი, რომელმაც დააპატიმრა, თავს ვერ გაიმართლებს მით რომ, მე „უფროსმა მიბრძანაო“. უმცროსი მოხელე მოვალე არ არას აასრულოს უფროსის ბრძანება, რომელიც უსაფუძვლოდ ან უკანონოდ მიაჩნია, და თუ ამისთანა ბრძანება აასრულა, იგი პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე.

არც თუ ვისიმე ბინაში შესვლა, იქაურობის გაჩხრეკა და გადაქოთება შეუძლიან პოლიციას, თუ ხელთ სასამართლოს წერილებითი ბრძანება არა აქვს, და ისიც მხოლოდ მზის ჩასვლამდის შეუძლიან. არავის შეუძლია წერილების გახსნა ფოსტაში, თუნდ უმაღლესი მოხელისაგან ჰქონდეს ნაბრძანები. ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ აქვთ სასამართლოს წერილობითი ბრძანება. ამის დამრღვევი პასუხის მგებელია სასამართლოს წინაშე.

ყველას, იქნება ეს ქართველი, სომეხი, თათარი, რუსი, ფრანგი თუ სხვა რაიმე ტომის ან რჯულის კაცი, თავისუფლად შეუძლია, საცა უნდა იქ წავიდეს ან დასახლდეს, რა ხელობასაც უნდა იმას მოჰკიდოს ხელი, ან სხვა და სხვა ქონება შეიძინოს. ქაღალდები კი, რომელშიაც კაცის გვარი, სახელი, წლოვანება და სხვაა აღნიშნული (ეგრედ წოდებული პასპორტები), და ურომლისოდ ჩვენში კაცი ფეს ვერ გადადგამს, განათლებულ ქვეყნებში უცხო ხილია. ამერიკაში ყველას იარაღის ტარების უფლებაც კი აქვს.

იმ ქვეყნებში, საცა პიროვნების ნამდვილი ხელშეუხებლობაა, შეუძლებელია რაც ჩვენში ეხლა ხდება: იქ ვერ იფარფაშებს უბრალო ჩაფარი, ყაზახი, პოლიციელი ან ათიცერი, რომელთაგან თვითეული ჩვენში ნამდვილი მეფეა და მთელ ხალხს თავის ქეიფზე ათამაშებს. გუბერნატორი იქ ვერ გამოსცემს საგანგებო წესებს, რომლის ძალითაც უბრალო დანაშაულობისთვის კაცს სიცოცხლეს უსპობენ. შეუძლებელია იქ ტყუილ-უბრალოდ საომარ დროის წესების გამოცხადება, ხალხის დახოცვა და ქუჩაში ხალხის უდიერი ჩხრეკა, ცემა-ტყეპა და ყველა ის, რაც ჩვენებურს კაცს კარგა აქვს გაცნობილი.

2 სინდისის და რწმენის თავისუფლება

ე. ი. ყველას თავისუფლად შეუძლია თავის რწმენა, აზრი იქონიოს, თავის რჯულს მისდიოს. შეუძლია სწამდეს ღმერთი, უარჰყოს იგი, ერთი სიტყვით თავის აზრის, რწმენის და რჯულის საქმეში არავის არ უნდა დაეკითხოს, არავის შეუძლია ძალით მოახვიოს ესა თუ ის აზრი, რწმენა და რჯული, მით უმეტეს არავის შეუძლია ამა თუ იმ აზრის ან რჯულის გულისათვის შეაწუხოს ან სდევნოს ვინმე. ყველა ეს სინდისის საქმეა და მისი შეზღუდვა, შევიწროება არავის შეუძლია.

3 და 4. თავისუფლება სიტყვისა და წერა-კითხვისა

ე. ი. ყველას თავისუფლად შეუძლია თავისი აზრი, რწმენა, გამოსთქვას, დაწეროს ან დაბეჭდოს. ამისათვის ყველას თავისუფლად შეუძლია სტამბა იქონიოს და ჰბეჭდოს ყოველგვარი წიგნები, წიგნაკები, ჟურნალ-გაზეთები, ფურცლები და სხვა. და ყველა ამისთვის სრულიადაც არ არის საჭირო მთავრობის რაიმე ნებართვა. ამ წიგნაკებში, ჟურნალ-გაზეთებში, ფურცლებში ყველას თავისუფლად შეუძლია ანგარიში გაუწიოს და გაჰკიცხოს მთავრობის და მოხელეთა მოქმედება, ძალიან წარჩინებულნიც რომ იყვნენ ეს მოხელენი. დაბეჭდილ წიგნაკების, ჟურნალ-გაზეთების და ფურცლების გავრცელება და ვაჭრობა ყველას თავისუფლათ შეუძლია.

აგრეთვე ყველას შეუძლია თავისუფლად ლაპარაკი კრებებზე, ყრილობებზედ. ყველას სრულიად თავისუფლად შეუძლია გაჰკიცხოს და ანგარიში გაუწიოს მთავრობის და მოხელეთა მოქმედებას და არავის შეუძლია ეს დაუშალოს.

ხოლო თუ ვინმემ ბოროტად გამოიყენა ეს თავისუფლება და ლაპარაკში ცილი დასწამა ვისმე, ჭორი გაავრცელა ან ტყუილი ცნობა მიაწოდა ხალხს, მაშინ დამნაშავე პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე.

სიტყვის და წერის თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს და იმიტომ არის საჭირო, რომ მოხელეთა ძალმომრეობა შეიზღუდოს. თუ მსაჯული უკანონობას ჩაიდენს, მოხელე ქრთამს აიღებს ან დასჩაგრავს ვისმე, ვინ გამოესარჩლება უძლურს? თავისუფალი სიტყვა. რაკი თავისუფალ სიტყვის შემწეობით უკანონობას გაიგებენ, ხალხი ეცდება თავიდან აიშოროს და დასაჯოს ამისთანა უკანონობის ჩამდენი მოხელენი.

5). თავისუფლება კრებისა

ე. ი. ყველ ადამიანს სრული უფლება აქვს საცა უნდა და რამდენიც უნდა შეიკრიბნენ, რათა თავიანთ საქმეებზე და სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო საკითხებზე მოილაპარაკონ. ამისთვის სრულიადაც საჭირო არ არის მთავრობის რაიმე ნებართვა ან განცხადება. ხალხს შეუძლიან მრავლად შეიკრიბოს და და ქუჩა-ქუჩა იაროს სიმღერით, დროშებით და სხვა. არც თუ ამის დაშლა შეუძლიან ვისმე. ამ კრებებზე თავისუფლად შეიძლება ლაპარაკი სხვა და სხვა საგნებზე, მთავრობის, მოხელეთა მოქმედებაზე და სხვა...

კრების თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის, რადგან ხალხს თვითმოქმედებას აჩვევს...

6. კავშირების თავისუფლება

ე. ი თუ რაიმე მიზნის მისაღწევად რამდენიმე კაცს შეერთება, შეკავშირება სურს არავის შეუძლია ამის დაშლა. კავშირების შედგენა ერთობ ესაჭიროებაო მუშებს და გლეხებს, და საზოგადოთ მათ, ვინც სხვა და სხვა მეპატრონეთაგან არის დაჩაგრული და შევიწროვებული. მეპატრონენი და მემამულენი ცდილობენ რაც შეიძლება მეტი სისხლი გამოსწოვონ მუშებს და გლეხებს. ამიტომ მეპატრონეს ან მემამულეს სრულიადაც არ აწუხებს მუშისა და გლეხის გაჭირვება. ღარიბმა და მშრომელმა ხალხმა კარგა იცის, რომ მეპატრონენი და მემამულენი მათ გაჭირებას არ უშველიან: მუშა და გლეხი შეიძლება წელებზე ფეხს იდგამდეს, სნეულდებოდეს, სიბნელით იყოს მოცული, შიშველ-ტიტველი და მშიერი დაიარებოდეს, ყველა ეს არ აწუხებს მეპატრონეთ და მემამულეთ.

მუშებმა შეიგნეს, რომ თავიანთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად თვითონვე უნდა იზრუნონ. და აი ამისთვის იგინი ერთმანეთს უკავშირდებიან, შეთანხმებულ მოქმედების პირობას სდებენ და კავშირს აარსებენ. ყოველი მუშა ცალკ-ცალკე მეპატრონესთან ბრძოლაში სუსტია: იგი ვერაფერს გააწყობს მასთან. მეპატრონე ადგილიდან დაითხოვს და მის მაგიერ მისვე ამხანაგს მიიღებს. ხოლო თუ მუშები პირობას დასდებენ, რომ ერთი პირი იქონიონ, ერთად იმოქმნდონ, მაშინ იგინი უკვე ძალას წარმოადგენენ, იმისთანა ძალას, რომელსაც მეპატრონემ ძალაუნებურად ანგარიში უნდა გაუწიოს. მაშინ იგი ისე უდიერად ველარ მოეპყრობა მუშებს, რადგან იცის, რომ ერთს რომ აწყენინოს ან ტყუილუბრალოდ დასაჯოს, მას ამხანაგები გამოესარჩლებიან. ძალაუნებურად უთმობს მუშებს და თან-და-თან მუშები აუმჯობესებენ თავიანთ მდგომარეობას.

გლეხებსაც სჭირიათ შეკავშირება: მემამულეებთან საბრძოლველად და მეურნეობის გასაძღოლად. მემამულეებთან საბრძოლველად გლეხები კავშირს აარსებენ და საიჯარო ქირის შემცირებას მოითხოვენ. თუ მემამულემ არ დაუთმო, მაშინ იგინი მოსამსახურეთ ჩამოართმევენ, მუშებს არ მისცემენ მიწების დასამუშავებლად და სხვა. შეკავშირებულ გლეხებს შეუძლიათ მთლად ჩამოართვან მიწები მემამულეებს. როდესაც შეერთებულის ძალით ებრძვიან მემამულეებს, გლეხები ყოველთვის თავისას გაიყვანენ, იმიტომ რომ ერთი პირი აქვთ, თორემ წინად ერთი რომ უარს ეტყოდა უზომო იჯარის ფასის გადახდაზე, მისივე მეზობელი იღებდა მიწას.

გაუმჯობესებელ იარაღის, კარგი თესლის შესაძენად და ნაწარმოებ საქონლის, პურის, კვერცხების, ერბოს და სხვა გასასყიდად გლეხებს კავშირები ესაჭიროებათ. გაუმჯობესებულ იარაღის და საუკეთესო თესლის შესაძენად საჭიროა დიდი ფული. ერთი გლეხი ვერ შესძლებს ყველა ამის შეძენას. საერთო ძალღონით კი, საერთო ფულით, გლეხები შესძლებენ როგორც გაუმჯობესებულ იარაღის, ისე საუკეთესო თესლის შეძენას. საქონლის გასაყიდად საჭიროა გლეხმა იცოდეს საით წაიღოს საქონელი, რამდენი დაამზადოს, — ამასაც იგი მარტოკა ვერ მოახერხებს. ამასაც ხარჯი უნდა! საზოგადო ძალღონით კი მათ შეუძლიანთ გაიჩინონ საზოგადო საწყობი, საზოგადო დუქანი, იქონიონ მიწერ-მოწერა ვაჭრებთან და მყვლეფელ ჩარჩებსაც თავს დაახწევენ. ამრიგად კავშირებს გლეხებთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

7. გაფიცვის თავისუფლება

ე. ი. ქარხანა ფაბრიკის, სოფლის მუშებს და საზოგადო სავაჭრო, საზოგადოებრივ და საქალაქო დაწესებულებაში მოსამსახურეებს, თუ მათი გაჭირება აუტანელი გახდა, შეუძლიანთ **გაფიცვა გამოაცხადონ**, ე. ი. მუშაობაზე ხელი აიღონ და ამისათვის პასუხს არ აგებენ.

თუ გაფიცვის თავისუფლება არ არის, კავშირების თავისუფლება მაშინ ფუჭი სიტყვა იქნება, და ხალხს არ მოუტანს იმ სარგებლობას, რომლის მოტანაც შეეძლო. ერთმა მუშამ მუშაობა აღკვეთოს, მეპატრონე მაშინვე ითხოს. მაგრამ თუ მრავალი მუშა, მთელი კარი სწყვეტს მუშაობას, მაშინ მეპატრონე იძულებულია დაუთმოს, რადგან თვითეული მოწინილი დღე მას დიდს ზარალს აყენებს. ხოლო მუშების დათხოვნა არ შეუძლიან, რადგან დათხოვნილ ამხანაგების ადგილის დაჭერას არ იკისრებს. ამრიგად, რათა კავშირის მოქმედებას რამე ნაყოფი მოჰქონდეს, საჭიროა, შირების თავისუფლებასათანავე გაფიცვის თავისუფლებაც არსებობდეს; ხოლო თუ გაფიცვის თავისუფლება არ იქნება, მაშინ ველ გაფიცვაში მთავრობა ჩაერევა თავის რით და პოლიციელებით და მუშებს გაფიცვას შეაწყვეტინებს, რადგან მუშები გაცილებულ სუსტები არიან, ვიდრე მეპატრონეთა და რის კავშირი.

ამრიგად ყველა მშრომელს გაფიცვის თავისუფლება ისევე ესაჭიროება, როგორც ნარჩენი თავისუფლება".

ამრიგად პიროვნების ხელშეუხებლობა, თავისუფლება სინდისისა და რწმენისა, სიტყვა-წერისა, კრებისა, თავისუფლება კავშირებისა და გაფიცვისა, აი, ის შვიდი უმთავრესი თავისუფლება, რომელიც უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა, რჯულისა და ეროვნებისა.

რედაქტორ-გამომცემელი **მ. ადამაშვილი**

ეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკურ და სალიტერატურო
გაზეთი

ზრდა

სურათებიანის დამატებით

ფასი ფაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქში გაგზავნით ერთის წლით	7 მან.	საზღვარ-გარეთ გაგზავნა ერთის წლით	11 მან.
ეთის თვით	50 კაპ. სურ.	ერთის თვით	1 მან.
დამატებითი	80 კ.		

პირველ ივნისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი ეღირება 4 მან.

კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, სახლი მარტირუზოვისა.

სტამბა „ი დ ე ა ლ ი" (მ. დ. კიკნაძისა)
ნიკოლოზის ქუჩა, მილოვის სახლი № 6.